ს. ჯიბლა

ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან

(ნა'იმა-ს ერთი ცნობის განმარტება)

ოსმალო ისტორიკოსთა შორის უთუოდ საპატიო ადგილი უჭირავს მუსტაფა ნა'იმას (1655—1716), რომლის ექვსტომიანი საისტორიო თხზულება— „თარიხ"-ი მნიშვნელოვანი წყაროა თურქეთისა და მომიჯნავე ქვეყნების ისტორიის შესასწავლად.

სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობის დროს მ. ნა'იმამ თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა და დაკვირვების უნარით აღჭურვილმა პირმა, რისთვისაც ის დანიშნულ იქნა სულთნის სასახლეში ოფიციალურ ისტორიკოსად. მისი „თარიხი", რომელიც 1591-1659 წლების ამბებს შეიცავს, რევოლუციამდე გამოცემული იყო ოთხჯერ[1]. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ამ გამოცემათაგანი მეცნიერული თვალსაზრისით ოდნავად დამაკმაყოფილებელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ნა'იმას „თარიხის" ხელნაწერი ნუსხა ბევრია და მათ შორის სტამბოლში — თოფკაპის სასახლის ხელნაწერთსაცავში ინახება ავტოგრაფიც, არც ერთ ამ გამოცემას კრიტიკული აპარატი დართული არა აქვს და აჭრელებულია შეცდომებით. ნა'იმას მოეპოვება ცნობები, ხოგჯერ მნიშვნელოვანიც, საქართველოს შესახებ. ჩვენი წერილის მიზანია განმარტოს გამოცემული „თარიხის" ერთი ადგილი, რომელიც შეეხება ქართლის მეფის სიმონის სტამბოლში წაყვანას.

1929 წელს სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნსაცავში თურქულ ხელნაწერებზე მუშაობისას გადმოვიწერეთ ნა'იმას „თარიხის" ამ წიგნთსაცავში დაცული ნუსხიდან[2], სხვათა შორის, სიმონ მეფის მიერ გორის ციხის აღების ამბავი. შემდეგში მე შემთხვევა მქონდა ამ ხელნაწერიდან ამოღებული ცნობა შემეწამებინა დაბეჭდილი „თარიხის" I ტომის სათანადო ადგილთან. ხელთ მქონდა, სახელდობრ, استانبول-ს III გამოცემა (ჩემი ცალი, გვ. 222 და 241) და 1864 წლის IV გამოცემა (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ეგზემპლარი, გვ. 251). გაირკვა, რომ ორთავე გამოცემაში შერყვნილადაა გაგებული და დაბეჭდილი, სხვათა შორის, ერთი სიტყვა, რომლითაც აზრი მახინჯდება. ამ გამოცემათა ზემოთ ნაჩვენებ გვერდებზე თავდება ჰიჯრის 1009 წლის ამბები, რომელთა ბოლოში ნა'იმა გასაკუთრებით შენიშნავს, რომ ქართლის მეფის სიმონის სტამბოლში „სამსახურებრივი დავალებით", თურქულად ایش ჩამოსვლა

---

[1] საერთოდ მ. ნა'იმას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უფრო დაწვრილებით: Encyklopaedie des Islam, III, გვ. 906; Fr. Babinger. Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, ლეიპციგი. 1927 წ., გვ. 245; აგრეთვე რამდენიმედ ჩვენი: „ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში", „ენიმკის მოამბე", XIII, თბილისი, 1942, გვ. 207-208.

[2] ხელნაწერი № 2323/59, გვ. 66v და 72r.

„ფეზლექე“-ში[1] „ამა წლის“ (ე. ი. 1009 წლის) ამბებშია აღწერილი[2]. ნა'იმა ამ შენიშვნას იმიტომ აკეთებს, რომ თვითონ ეს ამბავი 1008 წლის ქვეშ აქვს მოქცეული. აქ ყურადღებას იქცევს مأمورا სიტყვა. საქმე ისაა, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სიმონ მეფე მოულოდნელად თავს დაესხა გორის ციხეს, განდევნა იქიდან ოსმალთა ჯარი, შემდეგ კვლავ დამარცხდა, დაატყვევეს და წაიყვანეს სტამბოლში. სინამდვილესთან შეუსაბამოა, რომ ამგვარად დაპატიმრებული მტერი სტამბოლში ჩასულიყო مأمورا — 'სამსახურებრივი დავალებით'.

ნამდვილად კი სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნსაცავში შენახული „თა-რიხ“-ის იმ ნუსხაში, საიდანაც ეს ჩვენი ცნობა გადმოღებულია, სათანადო ადგილას წერია არა — مأمورا, არამედ — مأسورا[3], რაც ნიშნავს 'დატყვევებით', 'დატყვევებულად'; ე. ი. ეს ადგილი ასე უნდა შესწორდეს: در دولته کلوب مأسورا حاکم کورجستان سمونك „საქართველოს მმართველის სიმო-ნის სტამბოლში დატყვევებულად ჩამოსვლა“ და სხვა.

ნა'იმას ეს ცნობა სიმონ მეფის შესახებ ჩვენ აქ მთლიანად მოგვყავს, რადგანაც იგი ჩვენში უცნობია და, როგორც ირკვევა, გადმოწერილია უკე-თესი ნუსხიდან.

ტექსტი: وقیع سنه ثمان و الف

اسیر شدن سیمون حاکم کورجیان بدست جعفر پاشا امیرالامراء وان

حکام کرجستان ظاهرا مطیع فرمان باطنا دهلزن عصیان اولوب جمله‌دن سیمون
بدپیمان نفاق بی پایان ایله کوری قلعه‌سنه علی الغفله استیلا ایدوب اساسندن[4]
ویران ایندکده تبریز و وان امیر الامراسی وزیر دلیر جعفر پاشا عون حق ایله
کرفتار قید اسار ایدوب بنه کورجستان بیکلرندن الکسندره خانك باشن کسوب
اوغللرنی اخذ و مزبور سیمون ایله معا سنهٔ مزبوره ربیع الاولنده درکاه
خداوندکاره ارسال ایلدی یدی قلعه‌ده محبوس اولوب بعد زمان اسلامه کلمشدی دور
سلطان احمد علیه الرحمه‌ده وفات ایتمشدر مزبور سیمون یدی قلعه‌ده محبوس اولدقده
دیدیکی رباعیدر

نظم

غارت‌زدهٔ چرخ ستمکار اولدم
خلقك کوزینه آنکچون خوار[5] اولدم
کر کندی ایسه اسب و شتر باری ایله

[1] „ფეზლექე“ ამავე XVII საუკუნის მეორე ცნობილი ისტორიკოსის ქათიბ ჩელების (ა- ჰაჯი ხალფა-1609--1657) თხზულებაა, რომელიც 1592-1654 წლების ამბებს შეიცავს.

[2] نعیما تاریخ — III გამოცემა, გვ. 241 და IV გამოცემა, გვ. 251.

[3] სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნსაცავის ხელნაწერი № 2323/59, გვ. 72r.

[4] ამ სიტყვის შემდეგ ორივე დაბეჭდილ გამოცემაში წერია სიტყვა بر مقدار 'რამდენ-იმე', 'ცოტათი'; თითქოს საპირისპირო მნიშვნელობისაა اساسندن სიტყვისა, რაც ნიშნავს 'საფუძვლიანად', 'ძირიანად'.

[5] ხელნაწერ ნუსხაში წერია ამ სიტყვის ნაცვლად خواب, რაც 'ძილს' ნიშნავს; კონტექ-სტის მიხედვით, რა თქმა უნდა, خوار უნდა იყოს, ასეცაა დაბეჭდილ გამოცემაში (გვ. 222).

ماریه شکرلر که سبکبار اولدم
جواب حکیم چابی
بر قلعه‌منی المله سن[1] کورینك
کور شمدی یدی قلعه‌ده دزدار اولدك

وقایع سنه تسع و الف

سنهٔ ماضیه‌ده تحریر اولنان حاکم کورجستان سیمونك مأسورا دردولت کلوب یدی قلعه‌ده حبس اولندیغنی فدلکه‌ده بو سنه وقایعندن اولمق اوزره تحریر ایلمشدر

თარგმანი: ათას რვა წლის[2] ამბები

გვ. 66v. ვანის ბეგლარბეგის ჯა'ფარ ფაშის მიერ ქართველთა მმართველის სიმონის დატყვევება

საქართველოს მმართველნი საჩვენებლად ფირმანის[3] მორჩილნი არიან, ფარულად კი აჯანყებაზე უჭირავთ თვალი. მათ შორის დაუნდობელი სიმონი უსაზღვრო ვერაგობით ანაზდეულად თავს დაესხა გორის ციხეს და საფუძვლიანად დაანგრია იგი. თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგმა გულადმა ვეზირმა ჯა'ფარ ფაშამ[4] ღვთის შეშწეობით [სიმონი] დაატყვევა. გარდა ამისა, საქართველოს ბეგთაგან ალექსანდრე ხანს[5] თავი მოკვეთა, მისი შვილები დაიჭირა და ზემოხსენებულ სიმონთან ერთად იმავე წლის რები'-ულ-ევველ-[ის თვე]-ში[6] ხონთქრის სასახლეში წარგზავნა. [სიმონი] მოთავსებულ იქნა ედი-

---

[1] سن სიტყვა დასახელებულ ხელნაწერში არ არის, დაბეჭდილებიდან გადმოვიღე.

[2] ჰიჯრის 1008 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით 1599 წლის 24. VII-ს იწყება და 1600 წლის 12. VII-ს თავდება.

[3] ფირმანი ხონთქრის ბრძანებათა და გადაწყვეტილებათა შემცველი წერილობითი საბუთია.

[4] ეს უნდა იყოს ის ჯა'ფარ ფაშა, რომელზედაც Sicil-i osmani-ში შემდეგი ცნობაა მოცემული: ჯა'ფარ ფაშა ირანის მოსაზღვრე ვილაიეთების კარგ მცოდნედ ითვლებოდა. 988 (=1580-1581) წელს ერზერუმის ბეგისა, ხოლო 991(=1583) წელს შირვანის ვალის თანამდებობა მიიღო. აქედან თავრიზის ბეგლარბეგად იქნა გადაყვანილი და შემდეგში ვეზირი გახდა. მოლდავეთის საბეგოს ვილაიეთად რეორგანიზაციის შემდეგ იგი მოლდავეთის ვალის თანამდებობაზე დაინიშნა. შემდეგ კვლავ თავრიზის ვალია. გარდაიცვალა 1009(=1600-1601) წელს (იხ. سجل عثمانی یاهود تذکرهٔ مشاهیر عثمانیه — სტამბოლი, 1311(=1893-1894) წ., ტ. II, გვ. 71). მართალია, აქ ჯა'ფარ ფაშის ვანის ბეგლარბეგობა არ იხსენიება, მაგრამ, ვფიქრობ, „სიჯილის“ ავტორს ეს გარემოება მხედველობიდან გამორჩა. ეს მით უფრო სავარაუდებელი, რომ ჩვენს ტექსტში ის მარტოოდენ ვანის ბეგლარბეგად კი არა, „თავრიზისა და ვანის ბეგლარბეგადაა“ მოხსენებული.

[5] იგულისხმება სიმონ მეფის ძმა ალექსანდრე.

[6] 1008 წლის რები'-ულ-ევველის თვე მოდის 1599 წლის 21. IX-დან 20. X-მდე. ქართული წყაროების მიხედვითაც სიმონმა გორის ციხე 1599 წელს აიღო (იხ. ვახუშტი „დაუჯ. დომბელი“, 19 და ქრ'ზი, II, 431. ვიმოწმებ ივ. ჯავახიშვილის მიხედვით: ქართველი ერის ის-

კულე[1]-ს ციხეში, შემდეგში მან ისლამი მიიღო. გარდაიცვალა სულთან აჰმედის—მასზე იყოს ცხონება—დროს[2]. ედიკულეში პატიმრობისას ხსენებული სიმონის მიერ თქმული რუბა'ი:

გამანადგურა ბედმა, რომელსაც ვემდური;
ამისათვის დამკირება განვიცადე ხალხის თვალში.
თუმცა [საქმე] წამოვიდა ძლიერ ცუდად (მძიმედ)[3],
მადლობა გამჩენს, [რომ ახლა მდგომარეობა] შემიმსუბუქდა.

ჰეკიმ ჩელების[4] პასუხი:

ერთი გორის ციხის ალებისათვის შენ,
ახლა, უყურე, მეციხოვნე გახდი ედიკულეში.

ტორია, IV, 280-281) და სტამბოლშიც ამავე წლის IX—X-ში უნდა იყოს გამგზავრებული თუ ეს ასეა, ჭანიბ ჩელების ეს ამბავი რომ 1009(=1600) წლის ქვეშ აქვს აღწერილი, სწორი არ უნდა იყოს.

[1] ედიკულე (ქართულად, ზოგჯერ, იედიკულა)—თურქ. yedi (იედი) 'შვიდი' და არაბ.-თურქ. كله (კულე) 'კოშკი' (=შვიდკოშკი, 'შვიდ კოშკა') ვინაიდან სიმონ ქართლის მეფემ, რომლის მეთაურობით ქართველი ხალხი „42 წელიწადს ღირსეულად იცავდა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლების დროშას ირანისა თუ ოსმალეთის მოძალადეებისაგან" (ნ. ბერძენიშვილი), ამ ციხეში დაამთავრა თავისი უკანასკნელი წლები, საჭიროდ მიმაჩნია ამ ციხის შესახებ მოვიტანო აქ ზოგიერთი ცნობა.

ბიზანტიის დროიდან ქ. სტამბოლს შემოელებული ჰქონდა მაღალი ციხე-გალავანი, რომლის ნაშთები ახლაც არის და რომელზედაც ადგილ-ადგილ გაშენებული იყო გამაგრებული კოშკები მარმარილოს ზღვის მხარეზე სტამბოლის გამაგრებულ ადგილთან XI-XII საუკუნეებში გაშენებულ იქნა 5 კოშკი, რომელიც მაშინ Pentapygion-ად ('ხუთი კოშკი') იყო ცნობილი. Hayat ansiklopedisi-ს მიხედვით, სტამბოლის აღების შემდეგ სულთან მეჰმედ II-ის დროს აქვე გაშენებულ იქნა კიდევ ორი კოშკი და ამიერიდან მას (და სტამბოლის ამ რაიონს) ედიკულე-იედიყულა ('შვიდი კოშკი') დაერქვა.

ოსმალთა ხელში იედიყულა ომიანობის დროს საჯინაოდ მოწინააღმდეგე საელჩოების საკანონმდებლოდ გადაიქცა. სიკვდილით დასჯილი ვეზირები და მაღალი თანამდებობ'ის პირებიც აქ ძოყავდათ ხოლმე. სიკვდილით დასჯის ადგილი იმპერატორ თეოდოსის მიერ გაშენებული თაღის მარცხენა მხარეზე ზღვისპირა მარმარილოს კოშკი იყო. სიკვდილმისჯილებს ჩაგდებდნენ ხოლმე ბნელ დილეგში. დასჯილთა თავებს ყრიდნენ ქვისსახურავიან ჭაში, რომელსაც სისხლის ჭას (kan kuyusu) ეძახდნენ.

როდესაც 1768 წ. რუსეთ-თურქეთის პირველი ომი გამოცხადდა, დიდმა ვეზირმა ბაბა ფაშამ რუსეთის ელჩი ობრეზკოვი და მისი 9 თანამშრომელი დააწყვედია არა კოშკში ჩვეულებრივად, ალბათ დილეგში, სადაც ელჩი მძიმე -ვალ გახდა. დილეგიდან ელჩი მხოლოდ დიპლომატიური კორპუსის ჩარევის შედეგად გამოიყვანეს. 1806 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის ელჩი იედიყულაში ოგზავნეს, მაგრამ ხოთკოის სასახლესთან ძლიერ დაახლოებული საფრანგეთის ელჩის სებასტიანის შუამდგომლობით ელჩს რუსეთში წასვლის ნება დართეს. ამის შემდეგ ელჩები საერთოდ იედიყულაში არ დაუმწყვდევიათ.

იედიყულაში იყო აგრეთვე დამწყვდეული და შემდეგ 1622 წ. სიკვდილით დასჯილი სულთანი ოსმან II (იხ. Hayat ansiklopedisi, სტამბოლი, 1936 წ., ტ. X, გვ. 4513—4515).

[2] ამბავი I, რომელიც 1603-1617 წლებში სულთნობდა. სიმონ მეფეზე საერთოდ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1946 წ., გვ. 320-323; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1948, გვ. 261-281. და სხვ.

[3] დედანში ნათქვამია: თუმც საქმე წამოვიდა „ცხენისა და აქლემის ტვირთი[ს სიმძიმე]თ".

[4] შესაძლებელია ეს იყოს ის ჰეკიმ ჩელები—حكيمى چلبى, რომელზედაც Sicil-i 'osmani-ში (ტ. II, გვ. 237) წერია, რომ ის „ებბერელია, მეჰმედ ფაშის მასწავლებელი და სულთან მურად III-ის (1574-1595) თანამედროვე".

ათას ცხრა წლის ამბავი[1]

გვ. 72r გასულ წელს აღწერილი საქართველოს მმართველის სიმონის სტამბოლს დატყვევებულად ჩამოსვლისა და მისი ედიყულეში მოთავსების ამბავი „ფეზლექე"-ში ამა წლის [ე. ი. ათას ცხრა წლის] ამბად არის მოტანილი.

ვფიქრობთ, სიმონ მეფის, ალექსანდრე ხანისა და სხვათა შესახებ ნა'იმას „თარიხში" წარმოდგენილი ცნობები საინტერესოა. საქართველოს ისტორიაზე მომუშავე სპეციალისტი, ცხადია, უკეთ შეაფასებს ნა'იმა-ს ამ ცნობებს და უკეთ გაარკვევს მათ მიმართებას ქართული და არაქართული წყაროების მონაცემებთან. ოღონდ, ნა'იმას ამ ამბებთან დაკავშირებით საჭიროდ მივიჩნიეთ ერთი ქართული ცნობის განმარტება იმავე სიმონ მეფის შესახებ.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ „ქრონიკების" II წიგნიდან (გვ. 431) სიმონ მეფის შესახებ მოტანილია შემდეგი ცნობა: «ქ~ კსა: სპზ: მეფემან სვიმონ ცხრა თვეს გორის ციხეს იბრძოლა, აიღო, მას შინა მყოფნი ურუმნი შეიბნეს აწეფის, ალგეთის პირს და ცხენი წაუქციეს ბრძოლათა შინა მეფესა თულაშვილმა. დაიჭირეს თათართ მეფე სვიმონ და სტამბოლს ხონთქართან გაგზავნეს, იედიყულაში დაატყვევეს. სამი წელიწადი იქ იყო, გამოიყვანეს და ათ (sic) მეიდანზე თავი გააგდებინეს»[2].

მოტანილ ამონაწერში ეჭვს იწვევს შესიტყვება „ათმეიდანი". საქმე ისაა, რომ at (ათ) თურქულად 'ცხენი'ა, ხოლო meydan სპარს.-თურქ. 'მოედანი'. თურქული იზაფეთური შესიტყვება at meydan-ı ‖ atmeydanı 'ცხენი მოედანი მისი' ნიშნავს 'მარულასათვის სპეციალურად მოწყობილ მოედანს'. თურქებმა თარგმნეს და atmeydanı (ათმეიდანი) უწოდეს ბიზანტიელების იმ ცნობილ იპოდრომს (hippodromos), რომელიც ქ. სტამბოლის ძველ ნაწილში აია-სოფიის ტაძრის გვერდით — ახლანდელი სულთან აჰმედის ჯამე'-სა და მისივე სახელობის პარკის ადგილას იყო.

მეორე. რამდენად შეესაბამება სიმართლეს ქართული წყაროდან აქ მოტანილი ცნობა, რომ სიმონ მეფე „სამ წელიწადი იქ [სტამბოლში] იყო, გამოიყვანეს და ათმეიდანზე თავი გააგდებინეს"? თურქი ისტორიკოსების მიხედვით სიმონი ოსმალეთში სიკვდილით არ დაუსჯიათ, იგი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა. ნა'იმა — ოფიციალური ისტორიკოსი, რომელსაც განსაკუთრებით უნდა მოეთხოვოს მოვლენათა ზუსტი ფიქსაცია, წერს, რომ სიმონ მეფე გარდაიცვალა სულთან აჰმედის დროს (1603–1617). ავსტრიელი ისტორიკოსი J. v. Hammer-ი, რომელიც შესანიშნავად იყო დაუფლებული თურქულ წყაროებს, აღნიშნავს, რომ ჯა'ფარ ფაშამ სტამბოლს წარგზავნა სიმონი და ალექსანდრეს შვილი, რომლებმაც იქ იედიყულეს ციხეში დაამთავრეს თავიანთი სიცოცხლე[3].

გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ სიმონი სტამბოლში პატივისცემითა და ერთგვარი ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც განათლებული და გამობრ-

[1] ჰიჯრის 1009 წ. ხვდება ჩვენი წელთაღრიცხვის 1600 წლის 13.VII-დან 1601 წლის 1.VII-მდე.

[2] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1948 წ., გვ. 280-281. ხაზი ჩვენია.

[3] J. v. Hammer. Geschichte des Osmanischen Reiches. Pesth. 1834, II, გვ. 639.

ძლიერი პოლიტიკური მოღვაწე. ჩვენ დავინახეთ, რომ სიმონის გამოთქმულ რუბა'იზე ჰექიმ ჩელები ანგარიშს უწევს მას და ლექსითვე გასცემს პასუხს. ეს ჰექიმ ჩელები კი, როგორც „ჩელები" სიტყვა მიუთითებს, მაღალი თანამდებობისა და ავტორიტეტისა და განათლებული კაცი უნდა ყოფილიყო (შდრ. ევლია ჩელები, ქათიბ ჩ ე ლ ე ბ ი = ჰაჯი ხალიფა). სიმონ მეფე 9 წელიწადს იყო სპარსეთში, სადაც ის დაეუფლებოდა სპარსულს და, როგორც ჩანს, რომ ბა'რების შეთხზვაშიც კი დახელოვნებულა. საყურადღებო გარემოებაა ისიც, რომ სტამბოლში ჩასვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ სიმონი შუამავლის როლს ასრულებს ირანსა და ოსმალეთს შორის დაწყებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებაში[1]. ეს უკვე მეტად საპატიო დავალებაა და სიმონის მხრივ სავსებით შესაძლებელი იმიტომაც, რომ „ოსმალები ირანს ზავს სთავაზობენ"[2] და ამ დროს მათთვის (ოსმალთათვის) საჭიროა სიმონისთანა გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ირანში თავის დროზე პატივისცემით იყო მიღებული[3] და რომელსაც ირანულ-პოლიტიკურ წრეებში გარკვეული წონა ჰქონდა. ამიტომ, ვგონებ, უსაფუძვლო იქნება ვიფიქროთ, რომ ოსმალებმა სიმონი სიკვდილით დასაჯეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, თურქ ისტორიკოსებს, კერძოდ იმავე ნა'იმას, რომელიც სტამბოლში ცხოვრობდა, ეს არ გამოეპარებოდა და ჩაწერდა ამას თავის „ისტორიაში" ისეთივე პირდაპირობითა და დეტალებით, როგორც ეს დიდი მოურავის სიკვდილით დასჯის შესახებ აქვს მოთხრობილი.

ზემოთ მოტანილ ქართულ ცნობას რამდენიმედ ქრონოლოგიური ხასიათის დაბრკოლებაც ხვდება. ამ ცნობის მიხედვით სიმონმა სტამბოლში მხოლოდ სამი წელიწადი იცოცხლა. ნა'იმას[4] და ქართული წყაროების[5] მიხედვით სიმონი სტამბოლში წაიყვანეს 1599 წელს (ნა'იმას აღნიშნული აქვს სექტემბერ-ოქტომბერი). ამ ანგარიშით, მაშასადამე, 1602 წელს სიმონი უკვე გარდაცვლილი უნდა იყოს. ეს კი არ არის სწორი, რადგანაც ნა'იმა დაბეჯითებით ამბობს, რომ სიმონი სულთან აჰმედის დროს, ე. ი. 1603—1617 წლებში, გარდაიცვალაო.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სიმონ მეფე შუამავალია ოსმალო-ირანის საზავო მოლაპარაკებაში, რომელიც XVII საუკუნის პირველ ათეულ წელს მიმდინარეობდა და 1612 წელს დასრულდა.

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. „სათათრო გამოსაღებელი" გვიანფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი", III, თბილისი, 1953, გვ. 153.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, იქვე.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1948 წ., გვ. 265.

[4] იხ. ზემოთ.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, IV, 1948 წ., გვ. 280-281.